ხელშეკრულება№ 134
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ცაგერი

27 ივლისი2017 წელი

ერთის მხრივ, **ცაგერის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში – შემსყიდველი), მუნიციპალიტეტის გამგებლის რევაზ ბენიძისსახით და მეორეს მხრივ, შპს „მაიპისი"(შემდგომში – მიმწოდებელი), დირექტირის ნატალია ქვარიანის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანია

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის სახსრებით **პერსონალური კომპიუტერები(კლასიფიკატორისკოდი 30213000)**; სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-3 მუხლის „ ს' „ ქვეპუნქტის საფუძველზეწინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, **გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.**

2.შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია **ცაგერისმუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურისათვის პერსონალური კომპიუტერის შესყიდვა. (cpu i3 6100, ram ddr3 4 gb, hdd 500 gb,dwd rw,)**

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება **ლარებში**

.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **1050(ათასორმოცდაათი) ლარს.**

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს მიწოდებიდან 1(ერთი) წლის განმავლობაში. მიმწოდებელი ვალდებულია საგარანტიო ვადაში საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა ,გარდა იმ შემთხვევებისა როცა ხარვეზები მიღებულია მიმწოდებლისგან დამოუკდებელი მიზეზების გამო.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან **2017 წლის 04 აგვისტომდე.**

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: **ქ. ქუთაისი. ფანჯიკიძის ქ. №28**

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება **უნაღდო ანგარიშსწორებით** 7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება **ეროვნულ ვალუტაში**

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს **10 (ათი) საბანკო** დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს **შესყიდვის** ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან არა უგვიანეს **2017 წლის 04 აგვისტომდე.**
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან **2017 წლის 05 სექტემბრამდე.** , გარდა ამავე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტისა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლი მოქმედებს ამ მუხლის 4.1 პუნქტით გათვალისწინებული დროით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წარმოშობილი დაკვეთა ან ამოცანა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს **მატერიალურ-ტექნიკური განყოფილების უფროსი-ჯიუ მურცხვალაძე; შესყიდვების განყოფილების უფროსი-დავით ჩიქოვანი;**

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15..1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ცაგერის მუნიციპალიტეტი

მისამართი

ქ. ცაგერი რუსთაველის ქუჩა №64ქ. ქუთაისი. ს. ისისანის ქ. №9

სახელმწიფო ხაზინა

ბ.კ.TRESGE22ბ/კოდი: MIBGGE22

ხაზინის ერთიანი ანგარიშია/ა № GE23PC0213600100015506

ს/კოდი: 242 574 460

მიმწოდებელი:

შპს „მაიპისი“

მისამართი

ს/ს „პროკრედიტ ბანკი“

ს/კოდი:412 694 071

17. მხარეთა ხელმოწერები

ცაგერის მუნიციპალიტეტის

გამგებელი:

რ. ბენიძე

შპს „მაიპისი“-ს

დირექტორი:

ნ. ქვარიანი